603/2ო 11862

ლელო

3–10 სექტემბერი 1994 წ. ● №29 (10897)

ფასი 100 000 კუპონი, ან 100 რუბლი.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

**7 სექტემბერს ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის პირველ შესარჩევ მატჩში შეხვდება მოლდოვას ნაკრებს**

# საქართველო — მოლდოვა

დიდი ტრადიციების მქონე ქართული ფეხბურთის ისტორიაში ახალი ფურცელი გადაიშალა: ჩვენი ქვეყნის ეროვნული და ახალგაზრდული (ოლიმპიური) ნაკრები გუნდები პირველად ერთვებიან ისეთ პრესტიჟულ ოფიციალურ შეჯიბრებაში, როგორიცაა ევროპის ჩემპიონატი. ჩვენი პირველი მეტოქე შესარჩევ ჯგუფში არის მოლდოვა.

ეროვნული ნაკრები გუნდები ერთმანეთს შეხვდებიან 7 სექტემბერს, ხოლო ახალგაზრდული (ოლიმპიური) — წინა დღით. ორთავე თამაში გაიმართება თბილისის ბორის პაიჭაძის სახელობის სტადიონზე. მატჩს იმსაჯებს თურქეთის ბრიგადა: აჰმეთ საკარი, მაჰერემ ფირუზბეი, თურგაი გიდი, სათადარიგო — უნსალ სიმენი.

ახალგაზრდული გუნდების მატჩის მსაჯები უკრაინიდან არიან: ვლადიმერ პიანიხი, ვიქტორ გოლოვკო, ალექსანდრე ტიუტიუნია, სათადარიგო — კონსტანტინე პანჩიკი.

ორივე მატჩზე უეფას დელეგატია მიშელ ვოტრო (საფრანგეთი).

იხ. მე-2 გვ.

## ვის რა შეუძლია?

### ცამეტი ძიუდოისტი — პრიზიორი

ბაქოს საერთაშორისო ტურნირიდან საქართველოს ძიუდოისტები (1978-79 წწ დაბადებულნი და მოზრდილები) საკმაოდ კარგი ნადავლით ჩამოვიდნენ. დიდებმა სამი I, ოთხი — II და ერთი — III ადგილი დაისაკუთრეს. ჭაბუკებს კი წილად ხვდათ სამი უმაღლესი ჯილდო, თითო მეორე და მესამე ადგილები. როგორც საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ბიძინა მაზიაშვილმა განაცხადა, ამ შეჯიბრებამ ბევრ კითხვას გასცა პასუხი და, რაც მთავარია, ნაკრების ყველა წევრმა (ორთავე ასაკში) თავისი ადგილი მოძებნა. ყოველ შემთხვევაში ახლა უკვე ყველამ იცის ვინ რას წარმოადგენს და ვის რა შეუძლია.

მოზრდილთა ტურნირის ჩემპიონები გახდნენ: სოსო ლიპარტელიანი (78, ლენტეხი), ივერი ჯიქურაული (86, დუშეთი), მევლუდ ლობჟანიძე (95, თბილისი).

II საპრიზო ადგილები დაიკავეს: გიორგი რევაზიშვილმა (65, საგარეჯო), გია წმინდაშვილმა (86, თელავი), თამაზ ცოფურაშვილმა (95, გლდანი) და ალექსანდრე დავითაშვილმა (+95, ახმეტა). ლევან გაგნიძეს (95, თბილისი) მესამე ადგილი ერგო.

ჭაბუკთა ასპარეზობაში თავი გამოიჩინეს: ლევან სულხანიშვილმა (71, თიანეთი) — I, გიორგი ნადირაშვილმა (65, თბილისი) — I, ვასილ ლექვენიძემ (+78, ქუთაისი) — I, აგრეთვე; ირაკლი სირაძემ (78, თბილისი) — II და ლევან ჭიაბრიშვილმა (60, საგარეჯო) — III.



მაია ჩიბურდანიძე



ნანა იოსელიანი



ქეთევან არახამია

მსოფლიო პირველობა ჭადრაკში

# პრეტენდენტები იწყებენ

**16 წელს ინარჩუნებდა ნონა გაფრინდაშვილი და 13 წელს — მაია ჩიბურდანიძე მსოფლიო ჩემპიონის წოდებას ჭადრაკში ქალთა შორის. მონაპოვარი 1991 წელს დავკარგეთ. შეძლებენ თუ არა ჩვენი მოჭადრაკეები ტიტულის დაბრუნებას? ამ კითხვაზე ნაწილობრივ უნდა გვიპასუხოს პრეტენდენტთა მატჩ-ტურნირმა, რომელიც 9 სექტემბერს იწყება ტილბურგში 9 დიდოსტატის მონაწილეობით.**

ჰოლანდიის ამ ქალაქში მარტო მსოფლიო ჩემპიონის ერთადერთი მეტოქე კი არ გახდება ცნობილი, არამედ ის ორი უძლიერესიც გამოვლინდება, რომლებიც თებერვალში 8 პარტიისგან შემდგარ მატჩში შეხვდებიან ერთმანეთს.

საჭიროა პირველი ან მეორე ადგილისათვის ბრძოლა, რაც პრაქტიკულად ერთმანეთის ტოლფასია. რა თქმა უნდა, 9 მონაწილიდან ყველას როდი ექნება საამისო შესაძლებლობა, მაგრამ ისიც ცხადია, რომ აუტსაიდერის როლს წინასწარ არავინ შეეგუება.

არა გვგონია, საპრიზო ადგილისათვის ბრძოლის რაიმე პრეტენზია ჰქონდეს რუმინელ ადელა კრისტინა ფოიშორს (კოეფიციენტი 2405), მაგრამ ამასთან ისიც ვთქვათ, რომ ფოიშორი ძლიერი და გამოცდილი მოჭადრაკეა. მას ავარჯიშებს მეუღლე, საკმაოდ ერუდირებული საერთაშორისო ოსტატი. ფოიშორს დასაკარგი არაფერი აქვს, ტილბურგში იგი ითამაშებს თავისუფლად, ზედმეტი დაძაბულობის გარეშე, ეს კი წინასწარ „განწირულად“ მიჩნეულ მონაწილეთა ტრადიციული უპირატესობა გახლავთ.

ალისა მარიჩს (იუგოსლავია) ფოიშორზე ნაკლები კოეფიციენტიც კი აქვს (2400), მაგრამ მასზე უფრო ძლიერად არის მიჩნეული. ჯერ ერთი, 1991 წელს იგი პრეტენდენტთა ფინალური მატჩის მონაწილე იყო, სადაც მხოლოდ დაძაბული ბრძოლის შემდეგ წააგო მომავალ მსოფლიო ჩემპიონ სიე ჟუნთან. ამის შემდეგ მარიჩმა კიდევ ითამაშა (ამჯერად უკვე საშუალო შედეგით) პრეტენდენტთა ასპარეზობაში, არაერთ წარმატებას მიაღწია საერთაშორისო ტურნირებშიც. ა. მარიჩი თეორიულად კარგად მომზადებული მოჭადრაკეა, თუმცა პირველი ან მეორე ადგილისთვის, ალბათ, ვერ იბრძოლებს.

დაახლოებით იგივე შეიძლება ითქვას ჩინელ პენგზე, რომელიც ახლა თავისი ქვეყნის მოჭადრაკეებს შორის სიძლიერით მეორეა მსოფლიო ჩემპიონის შემდეგ. მისი ახლანდელი კოეფიციენტი (2480) მნიშვნელოვნად ამაღლდა საერთაშორისო ტურნირებში მუდმივი და წარმატებითი მონაწილეობის შემდეგ. ის ფაქტი, რომ პენგი ზედიზედ მეორედ მონაწილეობს პრეტენდენტთა ასპარეზობაზე, თავისთავად ბევრს ნიშნავს. უნდა გავითვალისწინოთ ერთი გარემოებაც — ჩინელ მოჭადრაკეთა მომზადება ახლა სახელმწიფოებრივ დონეზეა აყვანილი, აქ ხანგრძლივ შეკრებებს აწყობენ, იყენებენ კომპიუტერებს და ა.შ. პენგს მრავალი ღირსება აქვს: ტრადიციული ჩინური შეუპოვრობა, ბრძოლის წყურვილი, საკმაოდ დიდი გამოცდილება. და, მაინც, პირველი ან მეორე ადგილის პრეტენდენტად არც ის ითვლება.

ალისა გალიამოვა-ივანჩუკი (2475) უკვე რამდენიმე წელია მსოფ-

იხ. მე-4 გვ.

# რაც გაგვაჩნია!



**9-11 სექტემბერს ფინეთში გაიმართება მსოფლიოს მორიგი ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. მოასპარეზეთა შორის იქნება საქართველოს სპორტსმენთა ექვსკაციანი დელეგაცია ბეგი დარჩიას (უფროსი მწვრთნელი) და ვაჟა გოგიაშვილის (დელეგაციის ხელმძღვანელი) მეთაურობით. გუნდის ღირსებას დაიცავენ: გელა პაპაშვილი (48 კგ. თბილისი), კობა გულიაშვილი (62 კგ, მარტყოფი), ზვიჩა ბიჩინაშვილი (74 კგ. სართიჭალა), მუხრან ვახტანგაძე (82 კგ. ბათუმი), თენგიზ თედორაძე (90 კგ. ბათუმი) და ბაკურ გოგიტიძე (100 კგ. თბილისი).**

ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მსოფლიოს ჩემპიონატების ათვლა 1910 წლიდან იწყება. სწორედ ამ წელს ვენაში პირველად გათამაშდა უძლიერესის სახელი და გამარჯვებულს მიენიჭა ოქროს დიდი მედალი. ალბათ გიკვირთ კიდეც, რომ პირველ მსოფლიოს ჩემპიონზე მხოლოობით რიცხვში ვსაუბრობთ. დიახ, იმ წელს პირველობა გათამაშდა მხოლოდ ერთ წონაში, ე.წ. აბსოლუტურ კატეგორიაში, სადაც ერთნაირი წარმატებით შეეძლოთ გამოსვლა მსუბუქი და მძიმე წონის ათლეტებს. აქ ერთი განმარტებაცაა საჭირო. წონით კატეგორიებად დაყოფა იმ პერიოდისთვის მიღებული იყო. ეს კი არა, ლონდონის IV ოლიმპიური თამაშების (1908 წელი) პროგრამაში შეტანილი იყო მოჭიდავეთა შეჯიბრება ოთხს წონითს კატეგორიაში (ქვესაშუალო, საშუალო, ქვემძიმე, მძიმე), ასე რომ, მსოფლიოს პირველი ჩემპიონატის ორგანიზატორებს უდავოდ ჰქონდათ რაღაც მოსაზრება, როცა შეჯიბრებას ერთ წონაში ატარებდნენ. სამწუხაროდ, ჩვენთვის ეს მოსაზრება უცნობია.

საქართველოს მოჭიდავეები მსოფლიოს ჩემპიონატებში 1953 წლიდან მონაწილეობენ. აი მანამდე კი ხუთი ასეთი ტურნირი გაიმართა. რომელშიც თავი უმთავრესად ფინეთისა და შვეციის ათლეტებმა გამოიჩინეს. გთავაზობთ ზოგიერთი, ჭიდაობაში დაწინაურებული ქვეყნის მონაცემებს:

იხ. მე-4 გვ.

## ვის გაუღიმებს ბედი?

სოლტ-ლეიკ-სიტის (აშშ) ხელისუფლებამ 800 მილიონი დოლარი გამოჰყო, რათა ქალაქმა წარმატებით გაართვას თავი 2002 წლის ზამთრის ოლიმპიადის მასპინძლობისათვის გამართულ მძიმე და შეუპოვარ ბრძოლას. ამ ბრძოლაში, მოგეხსენებათ ალბათ, სოლტ-ლეიკ-სიტის გარდა ჩაბმული არიან: კვებეკი (კანადა), გრაცი (ავსტრია), ხაკა (ესპანეთი), პოპრად-ტატრი (სლოვაკია), სიონი (შვეიცარია), „ტარვიციო“ (იტალია), ოსტერსუნდი (შვეცია), ალმა-ათა (ყაზახეთი) და სოჭი (რუსეთი).

ამ დღეებში ცნობილი გახდა, რომ სოკის კომისიამ კანდიდატთა რიცხვიდან ამოიღო ალმა-ათა. 24 აგვისტოს შეწყდა განაცხადების მიღება. ახლა ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ ვის გაუღიმებს ბედი 1995 წლის 16 ივნისს, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მორიგ სესიაზე, რომელიც სხვა პრობლემებთან ერთად ამაზეც იმსჯელებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში

# საქართველო — მოლდოვა

## საქართველოს ეროვნული ნაკრები

მთავარი მწვრთნელი. ალექსანდრე ჩივაძე. დაიბადა 1955 წელს. თამაშობდა 35-ე სპორტსკოლაში, ახალგაზრდულ საფეხბურთო სკოლაში, 1973-86 წლებში — თბილისის „დინამოში“, იყო სსრკ ნაკრების კაპიტანი, სპორტის დამსახურებული ოსტატი.

1990 წლიდან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტია. ნაკრებს სათავეში უდგას 1993 წლიდან. დაამთავრა თსუ-ს ეკონომიკური და იურიდიული ფაკულტეტები.

მწვრთნელები:

ტექნიკური დირექტორი. რამაზ შენგელია. დაიბადა 1957 წელს. თამაშობდა ქუთაისის „ტორპედოში“ (1973-76), თბილისის „დინამოში“ (1977-88), იყო სსრკ ნაკრების წევრი, სპორტის დამსახურებული ოსტატი. დაამთავრა თსუ და ფიზკულტურის ინსტიტუტი.

თამაზ კოსტავა. დაიბადა 1956 წელს. თამაშობდა ქუთაისის „ტორპედოში“ (1973-76), თბილისის „დინამოში“ (1977-83). იყო სსრკ ნაკრების წევრი, სპორტის დამსახურებული ოსტატი. წვრთნიდა საქართველოს ჭაბუკთა (18 წლამდე) ნაკრებს. დაამთავრა თსუ, ფიზკულტურის ინსტიტუტი, ევროპის ქვეყნების ჭაბუკ მწვრთნელთა ჰელსინკის საერთაშორისო კურსები.

ვლადიმერ პანოვი. დაიბადა 1950 წელს. თამაშობდა 35-ე სპორტსკოლაში, „ლოკომოტივში“ (თბ), „მეშახტეში“, „მერცხალში“, როსტოვის ასკ-ში, წვრთნიდა თბილისის „ლოკომოტივს“. დაამთავრა მწვრთნელთა უმაღლესი სკოლა.

ოთარ გაბელია. დაიბადა 1953 წ. თამაშობდა თბილისის „დინამოში“ (1977-89), წვრთნიდა ზუგდიდის „დინამოს“, „ალაზანს“, ამჟამად „დურუჯს“. იყო სსრკ ნაკრების წევრი. სპორტის დამსახურებული ოსტატი.

ნაკრების ექიმია დიმიტრი ზაალიშვილი, მასაჟისტი — ანზორ გაბიტაშვილი.

## ნაკრების წევრები

მეკარეები:

ირაკლი ზოიძე — „დინამო“, თბილისი, დაიბადა 1969 წელს, იოსებ ბრიშიკაშვილი — „მეტალურგი“, 1972. აკაკი დევიძე — „შევარდენი-1906“, 1971 წ.

მცველები:

მურთაზ შელია — „დინამო“ თბ., 1969 წ., დიმიტრი კუდინოვი — „აპოელი“, კვიპროსი, 1963 წ., გიორგი ნემსაძე — „დინამო“ თბ. 1972 წ. გელა ინალიშვილი — „დინამო“ თბ. 1966 წ., კახი ცხადაძე — „აინტრახტი“, გერმანია, 1968 წ., გიორგი ჩიხრაძე — „ტემპი“, უკრაინა, 1971 წ.

ნახევარმცველები:

გოჩა ჯამარაული — „დინამო“ თბ. 1971 წ., მიხეილ ყაველაშვილი — „დინამო“ თბ. 1971 წ. გიორგი ქინქლაძე — „დინამო“ თბ. 1973 წ., თეიმურაზ ქეცბაია — აეკ, საბერძნეთი, 1968 წ. რევაზ არველაძე — „დინამო თბ. 1969 წ.

თავდამსხმელები:

არჩილ არველაძე — „დინამო“ თბ. 1973 წ. შოთა არველაძე — „დინამო“ თბ. 1973 წ., გია გურული — „დუნკერი“, საფრანგეთი, 1964 წ.



საქართველოს ეროვნული ნაკრები.

ელდარ მალხაზაშვილის ფოტო.

### საქართველოს ეროვნული ნაკრების წლევანდელი შედეგები

8 თებერვალი. სლოვენია-საქართველო 1-0

10 თებერვალი. მალტა-საქართველო 0-1

12 თებერვალი. ტუნისი-საქართველო 0-2

22 თებერვალი. ისრაელი-საქართველო 2-0

28 თებერვალი. ისრაელი (ოლიმპ.)-საქართველო 1-3

11 ივნისი. ნიგერია-საქართველო 5-1

26 ივნისი. ლატვია-საქართველო 1-3

19 ივლისი. საქართველო-მალტა 1-1

### მოლდოვას ეროვნული ნაკრების შედეგები

02.07.91 მოლდოვა-საქართველო 2-4

20.05.92. მოლდოვა-ლიტვა 1-1

18.08.92. პაკისტანი-მოლდოვა 0-5

20.08.92 სუდანი-მოლდოვა 1-2

24.08.92 იორდანია-მოლდოვა 1-0

26.08.92. ერაყი-მოლდოვა 1-0

28.08.92. კონგო-მოლდოვა 1-3

14.10.92 სომხეთი-მოლდოვა 0-0

01.06.93 მოლდოვა-რუმინეთი (ოლიმპ.) 3-2

06.03.94. აშშ-მოლდოვა 1-1

19.03.94. აშშ-მოლდოვა 3-0

## მოლდოვა, ეროვნული ნაკრები

მეკარეები:

ვასილ კოშელევი — 1972, „ტილიგული“, ევგენი ივანოვი — 1966, „ტილიგული“, სერგეი ბუნარაში — 1964, „ზიმბრული“.

მცველები:

სერგეი სტროენკო — 1967, „ტილიგული“, სერგეი პოგორელოვი — 1967, „ტილიგული“, ემილ კარასი — 1967, „ზიმბრული“, იგორ ოჩერენკო — 1963, „ოდრუ“, ალექსანდრე გუზუნი — 1966, „რაპიდი“, ბუქარესტი, იენ ტესტიმიციანუ — 1973, „ზიმბრული“, სერგეი სეკუ — 1972, „ტილიგული“. იური სკალა — 1965, „ბუჯაკი“.

ნახევარმცველები:

ალექსანდრე სკალა — 1965, „ბუჯაკი“, იგორ ოპრია — 1969, „ტილიგული“, ვიქტორ რუსუ — 1961, „ბუჯაკი“, ალექსანდრე კურტიანუ — 1974, „ზიმბრული“, გიორგი ხარია — 1966, „კონსტრუქტორი“, სერგეი ნანი — 1970, „ზიმბრული“.

თავდამსხმელები:

ვლადიმერ კოსე — 1967, „ტილიგული“, ვალერი კაპაცინა — 1970, „კონსტრუქტორი“, ალექსანდრე სპირიდონი — 1960, „ზიმბრული“, სერგეი ალექსანდროვი — 1965, „ბუჯაკი“.

ნაკრების მთავარი მწვრთნელი იონ კარასი.

## საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

პირველი ჯგუფი

27 აგვისტო. III ტური.

„კოლხეთი-1913“ (ფოთი) — „დურუჯი“ (ყვარელი) 3-0

„ტორპედო“ (ქუთაისი) — „დინამო“ (თბილისი) 1-1

„სამტრედია“ (სამტრედია) — „კახეთი“ (თელავი) 3-0

„დინამო“ (ბათუმი) — „სამგურალი“ (წყალტუბო) 6-1

„მარგვეთი“ (ზესტაფონი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 0-4

„დილა“ (გორი) — „ივერია“ (ხაშური) 1-0

„შევარდენი-1906“ (თბილისი) — „საპოვნელა“ (თერჯოლა) 3-1

„გურია“ (ლანჩხუთი) — „დინამო“ (ზუგდიდი) 2-2. მსაჯები: შ. ხანიაშვილი, ზ, ლაცაბიძე (ორივენი — თბილისი), შ. ბერიძე (ასპინძა).

„გურია“: ბერაძე (კუნჭულია), ნარიაშვილი, თევზაძე, რუხაძე, ბუცურეიშვილი, სიხარულიძე (კვინტრაძე), გამცემლიძე, რეხვიაშვილი (ხართიშვილი), გოგოლაძე, ყულეჯიშვილი, კანტიძე.

„დინამო“: ჭანტურია, ახვლედიანი, ძალამიძე, თუთბერიძე, მიქაძე, გაბედავა, ნ. კაკუბავა, გუგუჩია, დარასელია, გაბისონია, დ. კაკუბავა (კუტელია).

გოლები: გამცემლიძე (2), გაბედავა, გაბისონია. გააფრთხილეს ჭანტურია, გააძევეს გაბედავა.

მიმდინარე ჩემპიონატში „გურიაში“ მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა: კლუბს ჰყავს ახალი პრეზიდენტი (ე. ჟორდანია), მთავარი მწვრთნელი (გ. იმნაძე), უფროსი მწვრთნელი (თ. ჩხეიძე), მას შეემატნენ ახალი ფეხბურთელები (სიხარულიძე, ყულეჯიშვილი, კანტიძე) — ბათუმიდან, ხართიშვილი — ქუთაისიდან და სხვ. ყოველივე ეს მოწმობს, რომ ლანჩხუთში სერიოზულად მოკიდეს ხელი კლუბის ტრადიციების აღორძინებას. სამწუხაროდ, სარეცენზიო მატჩმა ცხადყო, რომ სასურველის მისაღწევად მოთამაშეებსა და მათს მესვეურებს ჯერ კიდევ მრავალი პრობლემა აქვთ გადასალახავი.

## დიეგო მარადონას: 15 თვით დისკვალიფიკაცია

ციურიხში გაიმართა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის კომისიის სხდომა, რომელმაც განიხილა არგენტინელი ფეხბურთელის დიეგო არმანდო მარადონას საკითხი. მას ბრალად ედებოდა განვლილ მსოფლიო ჩემპიონატზე დოპინგის მიღება.

მარადონა თავს იმართლებდა, რომ წონაში დაკლების მიზნით მან მიმართა სპეციალურ წამალს ეფედრინს, ეს პრეპარატი კი ერთ-ერთი სადოპინგო და სპორტში აკრძალული საშუალებაა.

მარადონას წარსულის „ცოდვებიც“ გაუხსენეს და მკაცრი ვერდიქტი გამოუტანეს: 15 თვის დისკვალიფიკაცია, ე.ი. იგი წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში მონაწილეობას ვერ მიიღებს ვერავითარ ოფიციალურ საფეხბურთო შეჯიბრებაში, მარადონა კი, ნუ დაგავიწყდებათ, ახლა 34 წლისაა.

### უცხოეთის ფეხბურთის ამბები

● სანკტ-პეტერბურგი. პეტერბურგის ტელევიზიით გამოსვლისას ქალაქის მერმა ანატოლი სობჩაკმა თანაქალაქელებს აღუთქვა, რომ უახლოესი ორი წლის განმავლობაში შექმნის სანკტ-პეტერბურგის საკადრის საფეხბურთო გუნდს. ცნობილია, რომ აქაური გუნდები „ზენიტი“ და „სმენა-სატურნი“ ამჟამად გაჭირვებით ბოგინობენ რუსული ფეხბურთის პირველ ჯგუფში და არც ფიქრობენ უმაღლეს ლიგაში გადასვლას.

— წინასწარი მოლაპარაკება მქონდა პავლე სადირინთან, თქვა ა. სობჩაკმა, — და შევთავაზე „ზენიტის“ ბაზაზე შექმნას რიგიანი გუნდი.

პ. სადირინი, რუსეთის ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელი, უწინ უკვე მუშაობდა „ზენიტში“, ამ გუნდმა მისი ხელმძღვანელობით 1984 წელს მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონობა. •

● ბარსელონა. სამშობლოში კარგა ხნის დასვენების შემდეგ ესპანეთს, სადაც მას კონტრაქტი აქვს „ბარსელონასთან“, დაბრუნდა ბრაზილიელი ფეხბურთელი რომარიო, მსოფლიოს XV ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშე.

რომარიო 1 აგვისტოს უნდა გამოცხადებულიყო კლუბში, მაგრამ, როგორც ხედავთ, მეტისმეტად დაიგვიანა და ამით „ბარსელონას“ მწვრთნელის იოჰან კრუიფის დიდი გულისწყრომა დაიმსახურა. კონფლიქტი ახლა იმ ზომამდე გამწვავდა, რომ რომარიომ განაცხადა ვადამდე დავარღვევ კონტრაქტს და იტალიაში გადავალო.

იგივე ამბავი დაემართა მეორე ცნობილ ბრაზილიელ ფეხბურთელს ბებეტოს. მანაც დააგვიანა ესპანეთის „ლა-კორუნიაში“ გამოცხადება და ამის საფასურად 300000 დოლარი ჯარიმა დაიმსახურა. ბებეტო უკმაყოფილოა ამ სანქციით და „ლა-კორუნიადან“ წასვლას აპირებს.

● ლევერკუზენი. ცნობილმა გერმანელმა ვეტერანმა ფეხბურთელმა რუდი ფიოლერმა (იგი ახლა 34 წლისაა) ხელი მოაწერა კონტრაქტს ამ ქალაქის „ბაიერთან“. რ. ფიოლერი „ბაიერმა“ საფრანგეთის „ოლიმპიკისგან“ შეიძინა 500 ათას გერმანულ მარკად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

## 1994-1995 წლების გათამაშება
## წინასწარი რაუნდი
## საპასუხო შეხვედრები

### ჩემპიონთა თასი

„სერვეტი“ (ჟენევა, შვეიცარია) — „სტიაუა“ (ბუქარესტი, რუმინეთი) 1-1 (პირველი მატჩი 1-4)
„გეტებორგი“ (შვეცია) — „სპარტა“ (პრაღა, ჩეხეთი) 2-0 (0-1)
„გალათასარაი“ (სტამბოლი, თურქეთი) — „ავენირი“ (ბეგენი, ლუქსემბურგი) 4-0 (5-1)
„ვაცი“ (უნგრეთი) — „პარი სენ-ჟერმენი“ (საფრანგეთი) 1-2 (0-3)
„ზალცბურგი“ (ავსტრია) — „მაკაბი“ (ხაიფა, ისრაელი) 3-1 (2-1)
„გლაზგო რეინჯერსი“ (შოტლანდია) — აეკ (ათენი, საბერძნეთი) 0-1 (0-2)
„ხაიდუკი“ (სპლიტი, ხორვატია) — „ლეგია“ (ვარშავა, პოლონეთი) 4-0 (1-0)
„დინამო“ (კიევი, უკრაინა) — „სილკებორგი“ (დანია) 3-1 (0-0)

### თასების მფლობელთა თასი

„შანი“ (ლიხტენშტეინი) — „პირინი“ (ბლაგოევგრადი, ბულგარეთი) 0-1 (0-3)
„ბრანიკი“ (მარიბორი, სლოვენია) — „ნორმა“ (ტალინი, ესტონეთი) — 10-0 (4-1)
„ტირანა“ (ალბანეთი) — „ფანდოკი“ (ბობრუისკი, ბელარუსი) 3-0 (1-4)
„ტილიგული“ (ტირასპოლი, მოლდოვა) — „ომონია“ (ნიქოზია, კვიპროსი) 1-3 (0-1)
„ალიანსი“ (დიუდელანჟი, ლუქსემბურგი) — „ფერენცვაროში“ (ბუდაპეშტი, უნგრეთი) 1-6 (1-6)
„სლაიგო როვერსი“ (ირლანდია) — „ფლორიანა“ (ლა-ვალეტა, მალტა) 1-0 (2-2)
„ჟალგირისი“ (ვილნიუსი, ლიტვა) — „ბარი თაუნი“ (უელსი) 6-0 (1-0)
„ოლიმპია“ (რიგა, ლატვია) — „ბოდო-გლიმპი“ (ნორვეგია) 0-0 (0-6)
„ნორჩეპინგი“ (შვეცია) — „ვიქტორია“ (ჟიჟკოვი, ჩეხეთი) 3-3 (0-1)
ჰიკ (ჰელსინკი, ფინეთი) — „ბ-71 სანდური“ (ფარერი) 2-0 (5-0)
„მაკაბი“ (თელ-ავივი, ისრაელი) — „იბკ კებლავიკი“ (ისლანდია) 4-1 (2-1)
„ტატრანი“ (პრეშოვი, სლოვაკეთი) — „ბანგორი“ (ჩრ. ირლანდია) 4-0 (1-0)

### უეფას თასი

„უნივერსიტატია“ (კრაიოვა, რუმინეთი) — „დინამო“ (თბილისი, საქართველო) 1-2 (0-2)
„კორკ სიტი“ (ირლანდია) — „სლავია“ (პრაღა, ჩეხეთი) 0-4 (0-2)
„ჰბ ტორსჰავნი“ (ფარერი) — „მოზერველი“ (შოტლანდია) 1-4 (0-3)
„ჯაზი“ (პორი, ფინეთი) — „კოპენჰაგენი“ (დანია) 0-4 (1-0)
„სლოვანი“ (ბრატისლავა, სლოვაკეთი) — „პორტადაუნი“ (ჩრ. ირლანდია) 3-0 (2-0)
„მიუპა-47“ (მიულიუკოსკი, ფინეთი) — „ინტერი“ (ბრატისლავა, სლოვაკეთი) 0-1 (3-0).
„ფლორა“ (ტალინი, ესტონეთი) — „ოდენსე“ (დანია) 0-3 (0-3)
„შახტიორი“ (დონეცკი, უკრაინა) — „ლილესტრიომი“ (ნორვეგია) 2-0 (1-4)
„ტრელებორგი“ (შვეცია) — „გი გოტუ“ (ფარერი) 3-2 (1-0)
„შემროკ როვერსი“ (დუბლინი, ირლანდია) — „გურნიკი“ (ზაბჟე, პოლონეთი) 0-1 (0-7)
„ლინფილდი“ (ბელფასტი, ჩრ. ირლანდია) — „ჰაბნარფიორდური“ (ისლანდია) 3-1 (0-1)
„აბერდინი“ (შოტლანდია) — „სკონტო“ (რიგა, ლატვია) 1-1 (0-0)
„რუსენბორგი“ (ტრონჰეიმი, ნორვეგია) — „გრევენმაჰერი“ (ლუქსემბურგი) 6-0 (2-1)
აიკ (სტოკჰოლმი, შვეცია) — „რომარი“ (მაჟეიკიაი, ლიტვა) 2-0 (2-0)
გკს (კატოვიცე, პოლონეთი) — „ინტერი“ (კარდიფი, უელსი) 6-0 (2-0)
„მურა“ ( სლოვენია) — „არაუ“ (შვეიცარია) 0-1 (0-1)
„შუმენი“ (ბულგარეთი) — „ანორტოსისი“ (ფამაგუსტა, კვიპროსი) 1-2 (0-2)
„ბეკეშჩაბა“ (უნგრეთი) — „ვარდარი“ (მაკედონია) 1-0 (1-1)
„ლევსკი“ (სოფია, ბულგარეთი) — „ოლიმპია“ (ლუბლიანა, სლოვენია) 1-2 (2-3)
„ტურანი“ (თაუზი, აზერბაიჯანი) — „ფენერბახჩე“ (სტამბოლი, თურქეთი) 0-2 (0-5)
„რაპიდი“ (ბუქარესტი, რუმინეთი) — „ლა-ვალეტა“ (მალტა) 1-1 (6-2)
„ზიმბრული“ (კიშინიოვი, მოლდოვა) — „კიშპეშტ-ჰონვედი“ (ბუდაპეშტი, უნგრეთი) 0-1 (1-4)
„არარატი“ (ერევანი, სომხეთი) — ცსკა (სოფია, ბულგარეთი) 0-0 (0-3)
„აპოლონი“ (ლიმასოლი, კვიპროსი) — „ტეუტა“ (ალბანეთი) 4-2 (4-1)
„ჰაპოელი“ (ბეზრ-შევა, ისრაელი) — „არისი“ (სალონიკი, საბერძნეთი) 1-2 (1-3)
„აკრანესი“ (ისლანდია) — „ბანგორ-სიტი“ (უელსი) 2-0 (2-1)
„ჰიბერნიანსი“ (პაულა, მალტა) — „დინამო“ (მინსკი, ბელარუსი) 4-3, დამატებით დროში 1-3.

შენიშვნა: ხაზგასმულია გუნდები, რომლებიც გავიდნენ გათამაშების შემდგომ ეტაპზე. ფრჩხილებში ნაჩვენებია პირველ შეხვედრათა შედეგები.

# შვეიცარიული პასიანსი

26 აგვისტოს შვეიცარიის ქალაქ ჟენევაში გაიმართა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა და უეფას თასის ძირითადი შეჯიბრების (პირველი რაუნდი) წილისყრა.

### თასების მფლობელთა თასი
#### მეთექვსმეტედფინალი

ცსკა (რუსეთი) - „ფერენცვაროში“ (უნგრეთი)
„გრასჰოპერსი“ (შვეიცარია) - „ჩერნომორეცი“ (უკრაინა)
„ჟალგირისი“ (ლიტვა) - „ფეიენორდი“ (ჰოლანდია)
„პირინი“ (ბულგარეთი) - „პანათინაიკოსი“ (საბერძნეთი)
„ბეშიქთაში“ (თურქეთი) - „ჰიკ“ (ფინეთი)
„კროაცია“ (ხორვატია) - „ოსერი“ (საფრანგეთი)
„აუსტრია“ (ავსტრია) - „ბრანიკი“ (სლოვენია)
„ბოდო-გლიმტი“ (ნორვეგია) - „სამპდორია“ (იტალია)
„ბრონდბიუ“ (დანია) - „ტირანა“ (ალბანეთი)
„ჩელსი“ (ინგლისი) - „ვიქტორია“ (ჩეხეთი)
„ვერდერი“ (გერმანია) - „მაკაბი“ (ისრაელი)
„ომონია“ (კვიპროსი) - „არსენალი“ (ინგლისი)
„დანდი იუნაიტედი“ (შოტლანდია) - „ტატრანი“ (სლოვაკეთი)
„სარაგოსა“ (ესპანეთი) - „გლორია“ (რუმინეთი)
„სლაიგოროვერსი“ (ირლანდია) - „ბრიუგე“ (ბელგია)
„პორტო“ (პორტუგალია) - გკს (პოლონეთი)

### უეფას თასი
#### ოცდამეთორმეტედფინალი

„დინამო“ (თბილისი, საქართველო) - „ტიროლი“ (ინსბრუკი, ავსტრია)
„სერენგი“ (ბელგია) - „დინამო“ (მოსკოვი, რუსეთი)
„როტორი“ (რუსეთი) - „ნანტი“ (საფრანგეთი)
„ბეკეშჩაბა“ (უნგრეთი) - „ტექსტილშჩიკი“ (რუსეთი)
„ანორტოსისი“ (კვიპროსი) - „ატლეტიკი“ (ესპანეთი)
ცსკა (ბულგარეთი) - „იუვენტუსი“ (იტალია)
გკს (პოლონეთი) - „არისი“ (საბერძნეთი)
„არაუ“ (შვეიცარია) - „მარიტიმუ“ (პორტუგალია)
„ოლიმპიაკოსი“ (საბერძნეთი) - „მარსელი“ (საფრანგეთი)
„რუსენბორგი“ (ნორვეგია) - „ლა კორუნია“ (ესპანეთი)
„აპოლონი“ (კვიპროსი) - „სიონი“ (შვეიცარია)
„ტვენტე“ (ჰოლანდია) - „კიშპეშტ ჰონვედი“ (უნგრეთი)
„ვიტესი“ (ჰოლანდია) - „პარმა“ (იტალია)
„კაიზერსლაუტერნი“ (გერმანია) - „აკრანესი“ (ისლანდია)
„ანტვერპენი“ ბელგია) - „ნიუკასლი“ (ინგლისი)
„ლინფილდი“ (ჩრ. ირლანდია) - „ოდენსე“ (დანია)
„ასტონ ვილა“ (ინგლისი) - „ინტერი“ (იტალია)
„აინტრახტი“ (გერმანია) - „ოლიმპია“ (სლოვენია)
აიკ (შვეცია) - „სლავია“ (ჩეხეთი)
„დინამო“ (მინსკი, ბელარუსი) - „ლაციო“ (იტალია)
„ბაიერი-04“ (გერმანია) - „ეინდჰოვენი“ (ჰოლანდია)
„ბოავიშტა“ (პორტუგალია) - „მიუპა-47“ (ფინეთი)
„გურნიკი“ (პოლონეთი) - „ადმირა-ვაკერი“ (ავსტრია)
„ნაპოლი“ (იტალია) - „სკონტო“ (ლატვია)
„სლოვანი“ (სლოვაკეთი) - „კოპენჰაგენი“ (დანია)
„ტრაბზონსპორი“ (თურქეთი) - „დინამო“ (ბუქარესტი, რუმინეთი)
„რეალი“ (ესპანეთი) - „სპორტინგი“ (პორტუგალია)
„კანი“ (საფრანგეთი) - „ფენერბახჩე“ (თურქეთი)
„რაპიდი“ (რუმინეთი) - „შარლერუა“ (ბელგია)
„ბორუსია“ (გერმანია) - „მოზერველი“ (შოტლანდია)
„ბორდო“ (საფრანგეთი) - „ლილესტრიომი“ (ნორვეგია)
„ბლეკბერნი“ (ინგლისი) - „ტრელებორგი“ (შვეცია)

შენიშვნა: თასების მფლობელთა თასის გათამაშების შეხვედრები გაიმართება 15 და 29 სექტემბერს, ხოლო უეფას თასისა — 13 და 27 სექტემბერს. პირველი შეხვედრები გაიმართება წილისყრაში პირველად ნახსენები გუნდების მინდვრებზე, თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, მხარეთა შეთანხმებით, შესაძლოა კორექტივებიც.

# ჩემპიონთა ლიგა

ამრიგად, გაირკვა ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალური ჯგუფების შემადგენლობანი.

„ა“ ჯგუფი: „გალათასარაი“ (თურქეთი), „მანჩესტერ იუნაიტედი“ (ინგლისი), „გეტებორგი“ (შვეცია), „ბარსელონა“ (ესპანეთი).

„ბ“ ჯგუფი: „ბაიერნი“ (გერმანია), „დინამო“ (კიევი, უკრაინა), „პარი სენ-ჟერმენი“ (საფრანგეთი), „სპარტაკი“ (მოსკოვი, რუსეთი).

„ც“ ჯგუფი: „სტიაუა“ (ბუქარესტი, რუმინეთი), „ხაიდუკი“ (სპლიტი, ხორვატია), „ბენფიკა“ (პორტუგალია), „ანდერლეხტი“ (ბელგია).

„დ“ ჯგუფი: „მილანი“ (იტალია) „ზალცბურგი“ (ავსტრია), აეკ (საბერძნეთი), „აიაქსი“ (ჰოლანდია).

გათამაშება იწარმოებს ჯგუფებში კალენდრის მიხედვით, ჯგუფებში გამარჯვებული გუნდები ბრძოლას გააგრძელებენ შემდგომ ეტაპზე.

## რა ხდება ქვეყანაზე

● როგორც ვიუწყებოდით, მოკრივეთა მსოფლიოს ასოციაციამ (ვბა) ხანდაზმულობის გამო უარი უთხრა მსოფლიოს ექსჩემპიონს ჯორჯ ფორმენს მაიკლ მურერთან შეხვედრაზე. ამ გადაწყვეტილებით განაწყენებულმა ფორმენმა ასოციაციას უჩივლა სასამართლოში. საქმე განიხილა ლას-ვეგასის ფედერაციულმა სასამართლომ და მოკრივეს თხოვნა დააკმაყოფილა, ოღონდ ერთი პირობით: ფორმენმა წერილობითი გარანტია უნდა გასცეს რომ ვბა არავითარ პასუხს არ აგებს შედეგზე. დაახლოებით ასეთსავე გარანტიას ითხოვენ მატჩის უშუალო ორგანიზატორები.

● არც ისე დიდი ხნის წინ ლეგენდარულმა კალათბურთელმა და ერთობ საშუალო კეტბურთელმა მაიკლ ჯორდანმა ტრავმა მიილო. გულშემატკივრებს გაუჩნდათ იმედი, რომ ბოლოს და ბოლოს დამთავრდებოდა მისი აქტიური კარიერა და ყველასათვის საყვარელი სპორტსმენი მშვიდ ცხოვრებას დაიწყებდა ისევე როგორც მისი ამასწინანდელი პარტნიორები ლარი ბიორდი, ქარიმ აბდულ-ჯაბარი და სხვ. მაგრამ არაფერი გამოვიდა. ჯორდანი ბრუნდება სპორტში, როგორც საშუალო დონის კეტბურთელი.

● მსოფლიოს ექსრეკორდსმენმა გულალმა ცურვაში დევიდ ბერკოფმა სახელი გაითქვა იმით, რომ დისტანციის მეტ ნაწილს ფარავდა წყლის ქვეშ. ამერიკელ ნოვატორს სულ მალე ბევრი მიმდევარი გაუჩნდა, მათ შორის მსოფლიოს აღიარებული ჩემპიონები და რეკორდსმენები. გავიდა დრო, ხანი და ცურვის საერთაშორისო ფედერაციამ პერკოფის სიახლე აკრძალა. ამ ცოტა ხნის წინ ამერიკელმა მოცურავემ განაცხადა, რომ ბრუნდება სპორტში, როგორც წყალქვეშა ცურვის ოსტატი. არადა, ახლახანს სპორტის ამ სახეობამ ოლიმპიური სტატუსი მიიღო.

● მძიმე ავარია მოუვიდა „ნასკარ-500-ის“ სერიის ავტომობილისტს ერნი ირვინს. ერთ-ერთი შეჯიბრების შემდეგ იგი მიიყვანეს მიჩიგანის შტატის ჰოსპიტალში, სადაც იმყოფება რეანიმაციის განყოფილებაში. ექიმების განცხადებით ერთ კვირაზე მეტია დაზარალებული გონს არ მოსულა. არადა, ირვინი ამ სერიაში საკმაოდ ცნობილი პილოტია. თორმეტჯერ აქვს მიღებული ჩემპიონტის წოდება, მათ შორის ცხრაჯერ ბოლო სამი წლის განმავლობაში. საბედისწერო რბოლის დროს ირვინის მანქანა საათში 170 მილის სისწრაფით მიჰქროდა.

● აპრილიდან მოწინავე იაპონელი სპორტსმენები ილებენ სტიპენდიას თვეში 200 ათასი იენის რაოდენობით, რაც დაახლოებით 2 ათას დოლარს შეადგენს. თანხა, რა თქმა უნდა, დიდი არ არის, მაგრამ სპორსმენთა შემოსავალს იგი აშკარად შეეშველება. იაპონიის ოლიმპიურმა კომიტეტმა სპორტსმენთა ელიტის დახმარების მიზნით 2,2 მილიონი დოლარი გამოჰყო და ეს სტიპენდიები ამ დახმარების ნაწილი გახლავთ. 200 ათასი იენი ეს უმაღლესი განაკვეთია, თორემ „ბ“ ჯგუფის წარმომადგენლები თვეში 100 ათას იენს ილებენ.

● ნორვეგიის მოთხილამურეებმა, რომლებმაც ლილეჰამერის ოლიმპიურ თამაშებში ყველაზე ბევრი მედალი მიიღეს, გადაწყვიტეს დახმარების ხელი გაუწოდონ გალატაკების პირამდე მისულ სათხილამურო სპორტის ეროვნულ ფედერაციას. დღესდღეობით ამ ფედერაციამ თავის მევალეებს ორ მილიონამდე დოლარი უნდა გადაუხადოს. დახმარების ინიციატორი გახდა ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ბიორნ დელი. მისი წინადადებით მოთხილამურეები უარს ამბობენ ხელფასის მიღებაზე და შემოსავლის გარკვეულ ნაწილს გადარიცხავენ ფედერაციის სახელზე. მაგრამ, მიმომხილველთა განცხადებით ამ ორგანიზაციას საბოლოო კრახისაგან იხსნის მხოლოდ ნორვეგიის ოლიმპიური კომიტეტის დახმარება.

## რა ხდება ქვეყანაზე

## ფეხბურთის ამბები

● ნორვეგიის ფეხბურთის ფედერაციამ დაამტკიცა პროფესიონალი მსაჯის სტატუსი. მომდევნო სეზონიდან, რომელიც გაისად გაზაფხულზე დაიწყება, ეროვნულ ჩემპიონატს სწორედ ასეთი მსაჯები მოემსახურებიან. ჯერჯერობით არ არის ცნობილი მხოლოდ ერთი რამ: ეს სტატუსი მათ მუდმივად ექნებათ, თუ მხოლოდ ჩემპიონატის პერიოდში?

● ფიფას არბიტრი სერგეი პუსაინოვი გახდა რუსეთის ნაკრების ისტორიაში ეროვნული გუნდის პირველი ოფიციალური მენეჯერი. სადირინის დროს მას ნაკრების ადმინისტრატორის თანამდებობა ეკავა.

● უეფას ოფიციალური განმარტებით გერმანიაში ფეხბურთელები დოპინგს არ ილებენ. ასეთი დასკვნა გაკეთდა მას შემდეგ, რაც 1993-94 წლების სეზონში ბუნდესლიგის 500 ფეხბურთელი შეამოწმეს და არც ერთს არ აღმოაჩნდა აკრძალული პრეპარატების კვალი.

● მადრიდის „რეალის“ ნახევარმცველი ხორვატი პროსინეჩკა ერთი სეზონით გაანათხოვრეს „ოვიედოში“. „რეალის“ პრეზიდენტი რამონ მენდოსა არაფერს ამბობს კონტრაქტის თაობაზე. ისე კი ხორვატი ფეხბურთელი თავის კლუბთან ოფიციალურად 1996 წლამდეა დაკავშირებული.

## „ყველა დროის“... შტეფი გრაფი

ჰამბურგის ჟურნალი „სპორტს ლაიფი“ ხშირად ატარებს სხვადასხვა სახის კონკურსებს, როგორც მკითხველთა, ისე მწვრთნელებისა და სპორტსმენების მონაწილეობით. მაგრამ ასეთი სახის გამოკითხვა მან პირველად მოაწყო. მკითხველებს პასუხი უნდა გაეცათ ერთადერთ კითხვაზე: „ვინ მიაჩნიათ გერმანიის ყველა დროის საუკეთესო სპორტსმენად“. აი, როგორ გამოიკვეთა უძლიერესთა ხუთეული:

1. შტეფი გრაფი (ჩოგბურთი). ამ 25 წლის ქალიშვილმა მოასწრო ბევრი რამ, აი, თუნდაც ხუთგზის გამარჯვება „უიმბლდონის“ ტურნირში. გრაფს მხარი დაუჭირა გამოკითხულის მესამედმა.
2. უვე ზეელერი (ფეხბურთი) ეროვნული ნაკრების ბომბარდირი, მსოფლიოს სამი ჩემპიონატის მონაწილე.
3. მაქს შმელინგი (კრივი). მსოფლიოს ექსჩემპიონი. მძიმე წონის პროფესიონალთა შორის. დამარცხებული ჰყავს თვით ჯო ლუისი.
4. ფრანც ბეკენბაუერი (ფეხბურთი). ორ მსოფლიოს ჩემპიონატში გამარჯვებული. ერთხელ, როგორც მოთამაშე, მეორედ, როგორც ეროვნული ნაკრების მწვრთნელი.
5. ბორის ბეკერი (ჩოგბურთი). „უიმბლდონის“ ტურნირის სამგზის ჩემპიონი. გარკვეული პერიოდის განმავლობაში მსოფლიოს №1 ჩოგბურთელი.

# პრეტენდენტები იწყებენ

(დასაწყისი პირველ გვერდზე.)

ლიოს ერთ-ერთ უძლიერეს დიდოსტატად ითვლება. უწინ რუსეთის ფედერაციის ნაკრების ლიდერი იყო (ალისა ერომენებით ყაზანელი თათარია), ახლა, ლვოველ დიდოსტატ ვასილი ივანჩუკზე გათხოვების შემდეგ, უკრაინის გუნდს მოთავეობს. გალიამოვა ბევრს თამაშობს, თითქმის მთელი წლის განმავლობაში მსოფლიოში მოგზაურობს და მონაწილეობს ქალთა თუ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირებში. წლეულს, მაგალითად, მოიგო „მარტის" ტრადიციული ასპარეზობა ბელგრადში, ითამაშა „ქალბატონებისა და სენიორების" შეჯიბრებაში მონტე-კარლოში, ნურც მისი მწვრთნელის, ვასილი ივანჩუკის „ფაქტორს" დავივიწყებთ. აქვს თუ არა გალიამოვას ტილბურგში პირველი ადგილებისთვის ბრძოლის შესაძლებლობა? ჩვენი აზრით, აქვს.

პიА კრამლინგი, რა თქმა უნდა, პირველი ან მეორე ადგილისთვის იბრძოლებს. შვედი მოჭადრაკის (კოეფიციენტი 2525) ცხოვრება ძალიან წააგავს გალიამოვასას. იგი და მისი მეუღლე, ესპანელი დიდოსტატი ხუან ბელონი მთელი წლის განმავლობაში ერთი ქვეყნიდან მეორეში გადადიან, უამრავ ასპარეზობაში თამაშობენ წრიული თუ შვეიცარიული სისტემით. კრამლინგის მაღალ კლასზე ისიც მეტყველებს, რომ მას დიდოსტატის წოდება აქვს ვაჟთა შორის.

სიტყვამ მოიტანა და ვიტყვით, რომ ასეთი მაღალი წოდება დღეს მსოფლიოში მხოლოდ 6 ქალს აქვს: ნონა გაფრინდაშვილს, მაია ჩიბურდანიძეს, იუდით და ჟუჟა პოლგარებს, სიე ჟუნს და პია კრამლინგს. შვედი მოჭადრაკე კარგა ხანია მონაწილეობს მსოფლიო ჩემპიონობისთვის ბრძოლაში, თუმცა მატჩის თამაშის უფლება ვერ მოიპოვა. იგი, გასაგებია, ამ აზრს ვერ ეგუება და ახლა შეეცდება იმის მიღწევას, რაც ადრე ვერ გააკეთა.

ყველას კარგად ახსოვს თუ როგორი უპირატესობით გაიმარჯვა ჟუჟა პოლგარმა პრეტენდენტთა ბოლო ტურნირში (შანხაი, 1992 წლის შემოდგომა). აქ მან წაუგებლად მოაგროვა 12,5 ქულა 16 შესაძლებლიდან, 3 ქულით გაუსწრო ნანა იოსელიანს და მაია ჩიბურდანიძეს. ჟუჟა ახლა კვლავინდებურად ბევრს თამაშობს, დიდი წარმატებებიც აქვს, მაგრამ მაინც ერთგვარად ჩრდილში მოქცეული თავის ფენომენურ უმცროს დასთან იუდითთან შედარებით. საინტერესოა, რომ დების გზები გაიყარა, ჟუჟა გათხოვდა პერუელ დიდოსტატ ხულიო გრანდა ცუნიგაზე. ჟ. პოლგარი პრეტენდენტთა ახლანდელი შეჯიბრების ერთ-ერთი უდავო ფავორიტია, ემარჯვება „შერეულ" შეჯიბრებებში თამაში, სადაც გარკვეულ სიფრთხილეს იჩენს უძლიერეს დიდოსტატებთან შეხვედრაში, მაგრამ სასტიკად უსწორდება ე.წ. „აუტსაიდერებს", რასაც სხვები ვერ ახერხებენ, ან ასეთი სიმტკიცით ვერ აღწევენ მიზანს. ჟუჟას ახლანდელი კოეფიციენტია 2550.

ახლა კი ზოგიერთი რამ ჩვენი სამეულის შესახებ:

ქეთევან არახამია (2450) პრეტენდენტთა წინა შეჯიბრებაში არ მონაწილეობდა, მომდევნო პერიოდში კი ბევრს თამაშობდა, განსაკუთრებით წარმატებით წარმართა შარშანდელი საერთაშორისო ტურნირი, გაიმარჯვა რამდენიმე სხვა ასპარეზობაშიც, ინგლისში ითამაშა როგორც ქალთა ისე ვაჟთა პაექრობებში. წლეულს მისმა წარმატებებმა იკლო, მარცხიანად გამოვიდა როგორც ბელგრადის „8 მარტის" ტურნირში, ისე მონტე-კარლოშიც. იქნებ ამას არც ჰქონდეს რეალური მნიშვნელობა, მთავარი ხომ წინ არის. ამიტომ მოჭადრაკეები ჩვეულებრივ თავიანთ სადებიუტო სიახლეებს ინახავენ ხოლმე, არ „ხარჯავენ" რიგით შეჯიბრებებში. არახამიას ერთი დიდი ნაკლი აქვს — ბავშვობიდან მოყოლებული სასტიკ ცაიტნოტში იმყოფება ხოლმე, ძალიან ბევრ დროს ანდომებს ფიქრს და ამის გამო ქულასაც ბევრს კარგავს. თუ ჩვენმა დიდოსტატმა პრეტენდენტთა მატჩ-ტურნირისთვის მომზადების დროს შეძლო და ეს ნაკლი დაძლია, მაშინ მას ტილბურგში წარმატებით გამოსვლის შესაძლებლობა ექნება.

ნანა იოსელიანი (2435) დიდი გამოცდილების მოჭადრაკეა. რაც არ უნდა იყოს, მან ორი მატჩი ითამაშა მსოფლიო პირველობაზე, ამას კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მართალია, მეორე მატჩს სიე ჟუნთან უკვალოდ არ ჩაუვლია — ასეთ სასტიკ დამარცხებას არავინ ელოდა, პირველ რიგში თვით ნანა, და ამან იმოქმედა კიდეც მის თამაშზე შემდგომ შეჯიბრებებში, მაგრამ სიე ჟუნთან შეხვედრის შემდეგ გარკვეული დრო გავიდა, „ჭრილობები", ვფიქრობთ, განიკურნა და ნანა იოსელიანსაც ეძლევა შესაძლებლობა კვლავ იბრძოლოს მსოფლიო პირველობისთვის. წლეულს იგი რამდენიმე შეჯიბრებაში მონაწილეობდა, ვფიქრობთ, გადაახალისა კიდეც თავისი სადებიუტო რეპერტუარი. ნანას ჭადრაკში თითქოს ყველა ღირსება გააჩნია, მაგრამ არახამიასი არ იყოს, ვერა და ვერ დაძლია ცაიტნოტის სახიფათო სენი. ვინ იცის, შესაძლოა სწორედ ახლა გათავისუფლდეს ჩვენი შესანიშნავი მოჭადრაკე ამ ნაკლისაგან.

დიდი იმედით ვუყურებთ მაია ჩიბურდანიძის (2505) გამოსვლას პრეტენდენტთა მომავალ ასპარეზობაში. მას ორი წლის წინ ამავე შეჯიბრებაში კარგი შესაძლებლობები ჰქონდა, მაგრამ კოეფიციენტების ცხრილმა და... ზედმეტმა მშვიდობისმოყვარეობამ უმტყუნა. საერთოდ კი, 33 წლის დიდოსტატს რატომ არ უნდა ჰქონდეს მსოფლიო ჩემპიონობის დაბრუნების პრეტენზია! ჩიბურდანიძე იშვიათი ნიჭის მოჭადრაკეა, წლების განმავლობაში მსოფლიოში ბადალი არა ჰყავდა და 1991 წელს ჩემპიონის წოდების დაკარგვაც, პირდაპირ ვთქვათ, ძნელად ასახსნელი ამბავი იყო. გვინდა გვჯეროდეს, რომ სწორედ ტილბურგში დაიწყება მაია ჩიბურდანიძის ახალი შემოქმედებითი და სპორტული აღმავლობა, ბრძოლა დაკარგული საჭადრაკო მწვერვალების დასაბრუნებლად. საამისოდ მას დღეისათვის საკმაო შესაძლებლობები აქვს.

ბივი გამრეკელი

## ცეტული მხეიძე



მძიმე ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სწავლული მდივანი, საქართველოს მაგიდის ჩოგბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი ცეტული არჩილის ასული მხეიძე. შესანიშნავი ბუნების ქალბატონი, თავმდაბალი, კარგი ადამიანი და მეგობარი, რომლის ხანმოკლე სიცოცხლე სიკეთის გაკვეთილი იყო ჩვენთვის.

ცნობილ სპორტსმენთა ოჯახში აღზრდილმა მთელი თავისი სიცოცხლე სპორტს დაუკავშირა. იგი ბავშვობიდანვე მისდევდა სამთო-სათხილამურო სპორტს და მრავალ ღირსეულ წარმატებასაც მიაღწია, მაგრამ მძიმე ტრავმამ საშუალება აღარ მისცა გაეგრძელებინა აქტიური სპორტული მოღვაწეობა.

თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის ბიოლოგიური ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მუშაობდა საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, ხელმძღვანელობდა საქართველოს ნაკრებ გუნდებთან კომპლექსურ სამეცნიერო ჯგუფებს.

ც. მხეიძე გამოირჩეოდა საქმის ცოდნით, პროფესიონალიზმით და უდიდესი პირადი პასუხისმგებლობით. მისი 20-ზე მეტი სამეცნიერო შრომის ნაწილი გამოქვეყნებულია საზღვარგარეთ.

უაღრესად გულთბილი, კეთილმოსურნე მანდილოსანი— ასეთად ემახსოვრებათ იგი მის კოლეგებს, მეგობრებს, ახლობლებს.

საქართველოს სპორტის დეპარტამენტი,
საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი,
საქართველოს მაგიდის ჩოგბურთის ფედერაცია.

---

პროფკავშირების საქართველოს სპორტსაზოგადოება „შევარდენის" რესპუბლიკური საბჭო იუწყება, რომ გარდაიცვალა ახლო წარსულში საზოგადოების მთავარი მწვრთნელი მძლეოსნობაში, სპორტის ვეტერანი

გიორგი (ჟორა) ბაგრატის ძე ლეჟავა.

---

საქართველოს მძლეოსნობის ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სპორტის ვეტერანი, ყოფილი მთავარი მწვრთნელი მძლეოსნობაში

გიორგი (ჟორა) ლეჟავა

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს მძლეოსნობის ფედერაცია იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს ექსრეკორდსმენი და მრავალგზის ჩემპიონი სპრინტერულ რბენაში

როინ მამალაძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

სპორტის სასახლის შრომითი კოლექტივი იუწყება, რომ გარდაიცვალა

ცეტული არჩილის ასული მხეიძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

## მხოლოდ ტექნიკური შედეგები

მძლეოსნობა. „გრან-პრი". ბრიუსელი. ვაჟები. 100 მ. ლ. კრისტი (დიდი ბრიტანეთი) — 10,03; 200 მ. მაიკლ ჯონსონი (აშშ) — 20,2; 800 მ. პ. კონჩელა (კენია) — 1.44,70; 110 მ. თარჯრბენი. კ. ჯექსონი (დიდი ბრიტანეთი) — 13,22; სიგრძე. მაიკლ პაუელი (აშშ) — 858 სმ.; სიმაღლე — ტ. კემპი (აშშ) — 231 სმ; ჭოკი. ს. ბუბკა (უკრაინა) — 595 სმ, შუბი. ი. ჟელეზნი (ჩეხეთი) — 88,34 მ. ქალები. გვენ ტორენსი (აშშ) — 10,83; 200 მ. ი. პრივალოვა (რუსეთი) — 22,22; სიგრძე. ჯ. ჯიონერ-კერსი (აშშ) — 711 სმ; ბადრო. ე. ზვერევა (ბელორუსი) — 67,44 მ.

ველოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაპო დ'ორლანდო (იტალია). ქალები. ჯგუფური რბოლა. 86 კმ. 1. მონიკა ვალვიკი (ნორვეგია) — 2:08.03.

ავტომობილიზმი. ინდიკარის სერია. ლევსინგტონი (ოჰაიოს შტატი, აშშ). 1. ელ ანზერი — უმცროსი (აშშ), 2. პოლ ტრეისი (კანადა), 3. ემერსონ ფიტიპალდი (ბრაზილია).

ჩოგბურთი. „ვოლვო ინტერნეიშნლ" (საპრიზო ფონდი — 1,4 მილიონი დოლარი). ნიუ-ჰევენი. კონექტიკუტის შტატი, აშშ. ფინალი. ბორის ბეკერი (გერმანია) — მარკ როსე (შვეიცარია) — 6:3, 6:5.

ჩოგბურთი. საერთაშორისო ტურნირი. ინდიანაპოლისი (915 ათასი დოლარი). ფინელი უეინ ფერეირა (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) — ოლივიე დელეტრი (საფრანგეთი) — 6:2, 6:1

ჩოგბურთი. საერთაშორისო ტურნირი. მონრეალი (450 ათასი დოლარი). ფინალი. არანტა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი) — შტეფი გრაფი (გერმანია) 7:5, 1:6, 7:6.

გაზეთის დღევანდელი ნომერი აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემით.

ხელმძღვანელი: გ. სიმონიშვილი. შემსრულებლები: ე. მანგოშვილი, ნ. რამიშვილი.

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

# რაც გაგვაჩნია!

(დასაწყისი პირველ გვერდზე.)

| | ო. | ვ. | ბ. |
|---|---|---|---|
| ფინეთი | 10 | 4 | 5 |
| შვეცია | 7 | 4 | 2 |
| უნგრეთი | 3 | 5 | 2 |
| ავსტრია | 2 | 1 | 4 |
| გერმანია | 2 | — | 3 |
| თურქეთი | 1 | 4 | 2 |
| ეგვიპტე | 1 | — | 2 |

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მსოფლიოს ჩემპიონატების წელთაღრიცხვა ჩვენთვის 1953 წლიდან იწყება, როცა ნეაპოლში გივი კარტოზიამ ოქროს მედალი მოიპოვა საშუალო წონაში. სხვათა შორის, კარტოზია გახლავთ პირველი ქართველი სპორტსმენი (და არა მარტო მოჭიდავე) — მსოფლიოს ჩემპიონი, რომელმაც ეს დიდებული წარმატება შემდგომში კიდევ ორჯერ გაიმეორა.

საერთოდ კი ცხრა ქართველ მოჭიდავეს 28 მსოფლიოს ჩემპიონატის ჯამში მოპოვებული აქვს 18 ოქროს მედალი, რაც ბრწყინვალე მაჩვენებელია ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველო გახლავთ. გვყავს მსოფლიოს ოთხგზის (რომან რურუა), სამგზის (გივი კარტოზია, როსტომ აბაშიძე) და ორგზის (ვახტანგ ბლაგიძე, თემურ აფხაზავა) ჩემპიონები, აღარაფერი რომ ვთქვათ იმათზე, ვისაც სხვადასხვა დროს თითო ოქროს მედალი აქვს მიღებული. აი ისინიც:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1. | რ. რურუა | 4 | — | — |
| 2. | გ. კარტოზია | 3 | — | — |
| 3. | რ. აბაშიძე | 3 | — | — |
| 4. | ვ. ბლაგიძე | 2 | — | — |
| 5. | თ. აფხაზავა | 2 | — | — |
| 6. | თ. ყაზარაშვილი | 1 | — | 1 |
| 7. | ა. ქორიძე | 1 | — | — |
| 8. | მ. სალაძე | 1 | — | — |
| 9. | გ. გედეხაური | 1 | — | — |
| 10. | ო. ეგაძე | — | 1 | — |
| 11. | დ. გვანცელაძე | — | 1 | — |
| 12. | ო. ბლიაძე | — | 1 | — |
| 13. | შ. მორჩილაძე | — | 1 | 1 |
| 14. | ი. ბერიშვილი | — | — | 1 |
| 15. | თ. თედორაძე | — | — | 1 |

როგორც სპორტის სხვა სახეობებში, აქაც, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, საქართველოს სპორტსმენებს აქვთ განსაკუთრებით გამორჩეული წლებიცა და გარკვეულწილად, ჩავარდნის პერიოდებიც. მაგრამ უფრო ხშირად მსოფლიოს ჩემპიონატებიდან ჩვენი ათლეტები ერთი ან ორი მედლით მკერდდამშვენებული ბრუნდებოდნენ შინ. საქართველოს მოჭიდავეების მონაპოვარი ცალკეულ წლებზე ასე ნაწილდება:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1953 | 1 | — | — |
| 1955 | 1 | — | — |
| 1958 | 2 | — | — |
| 1961 | 1 | — | — |
| 1962 | 1 | 1 | — |
| 1963 | 1 | 1 | — |
| 1966 | 1 | — | — |
| 1967 | 1 | — | — |
| 1969 | 1 | 1 | — |
| 1970 | 1 | — | — |
| 1973 | — | — | 1 |
| 1974 | — | 1 | 1 |
| 1978 | 1 | — | — |
| 1981 | 2 | — | — |
| 1982 | 2 | — | — |
| 1983 | 1 | — | 1 |
| 1987 | 1 | — | — |
| 1993 | — | — | 1 |

ეს, ასე ვთქვათ, ზოგადად, უფრო კონკრეტულად კი საქართველოს ფალავანთა წარმატებები ცალკეულ წლებზე ასეა განაწილებული:

1953. ნეაპოლი. გივი კარტოზია (79 კგ) — I ადგილი

1955. კარლსრუე. გივი კარტოზია (79) — I

1958. ბუდაპეშტი. გივი კარტოზია (79) — I, როსტომ აბაშიძე (87) — I.

1961. იოკოჰამა. ავთანდილ ქორიძე (67) — I.

1962. ტოლიდო. როსტომ აბაშიძე (87) — I, ომარ ეგაძე (52) — II.

1963. ჰელსინგბორგი. როსტომ აბაშიძე (87) — I, დავით გვანცელაძე (67) — II.

1966. ტოლიდო. რომან რურუა (63) — I.

1967. ბუქარესტი. რომან რურუა (63) — I

1969. მარ-დელ პლატა. რომან რურუა (62) — I, ომარ ბლიაძე (82) — II

1970. ედმონტონი. რომან რურუა (68) — I.

1973. თეირანი. შოთა მორჩილაძე (+100) — III

1974. კატოვიცე. შოთა მორჩილაძე (+100) — II, იოსებ ბერიშვილი (74) — III.

1978. მეხიკო. ვახტანგ ბლაგიძე (52) — I

1981. ოსლო. ვახტანგ ბლაგიძე (52) — I, მიხეილ სალაძე (100) — I.

1982. კატოვიცე. თეიმურაზ ყაზარაშვილი (48) — I, თეიმურაზ აფხაზავა (82) — I.

1983. კიევი. თეიმურაზ აფხაზავა (82) — I, თეიმურაზ ყაზარაშვილი (48) — III.

1987. კლერმონ-ფერანი. გურამ გედეხაური (100) — I.

1993. სტოკჰოლმი. თენგიზ თედორაძე (90) — III.



ბ. პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი
(ა. წერეთლის, 2)
**ფეხბურთი**
ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები
6 სექტემბერი
საქართველო — მოლდოვა
(ახალგაზრდული ეროვნული ნაკრებები, 21 წლამდე)
დასაწყისი 19 ს.
7 სექტემბერი
VII ჯგუფი
საქართველო (ეროვნული ნაკრები) — მოლდოვა (ეროვნული ნაკრები)
დასაწყისი 19 ს. 30 წ.
ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში.

## სპორტული ტელეეკრანი

„ოსტანკინო"

2 სექტემბერი. 10.10. ლიდია სკობლიკოვა. ავტოპორტრეტი. 1.00. მსოფლიო ჩემპიონატი საწყალოსნო სახეობებში. წყალში ხტომა.

3 სექტემბერი. 8.15. სპორტშანსი.

4 სექტემბერი. 8.15. ოლიმპიური დილა. 8.50. სპორტლოტო. 16.55. ჰოკეი. საერთაშორისო ტურნირი „სპარტაკის" თასი. ფინალი. 22.50 სპორტული უიქენდი.

„როსია"

2 სექტემბერი. 23.30. სპორტული კარუსელი.

3 სექტემბერი. 17.20. ფეხბურთი უსაზღვრებოდ. 23.30. სპორტული კარუსელი.

4 სექტემბერი. 15.55. ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. „სპარტაკი" (მოსკოვი) — „ტორპედო" (მოსკოვი). 23.30. სპორტული კარუსელი.

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380096, მ. კოსტავას, 14. ტელეფონი 99-56-14, 99-56-47. ინდექსი 66435 INDEX. დაიბეჭდა გამომცემლობა „სამშობლოში"